

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივი
დეპარტამენტი

ბესიკ კვაჭანტირაძე

**სახელმწიფოს მმართველობითი და მარეგულირებელი ფუნქციები ეფექტიანი
ბიზნესგარემოს ფორმირებაში - ევროპული გამოცდილება**

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ბათუმი - 2024

ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივ დეპარტამენტში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

რეზო მანველიძე ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

უცხოელი შემფასებელი:

მარიანა პეტროვა ეკონომიკის დოქტორი,
ცნოვის ეკონომიკური აკადემიის პროფესორი
სვიშტოვი, ბულგარეთი

შემფასებლები:

იური პაპასქუა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი

რამინ ცინარიძე

ბიზნესის მართვის დოქტორი, ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

თამარ ბერიძე

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ბათუმის
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება 2024 წლის 9 ივლისს, 12:00 საათზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო კომისიის სხდომაზე. მისამართი:

ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35 აუდიტორია N423

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში - www.bsu.edu.ge

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

ლეილა ცეცხლაძე

ბიზნესის მართვის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ნაშრომის საერთო დახასიათება

თემის აქტუალობა

თანამედროვე სამყაროში ეკონომიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანთა ყოველდღიურ საქმიანობაში, სწორედ ამიტომ საჭირო ბიზნესის განვითარების არსებული ტემპის გაუმჯობესება და სიახლეების მუდმივი ძიება.

საქართველოში ბიზნეს სექტორმა განვითარების გრძელი და კომპლექსური გზა განვლო და მისი სრულყოფა მეტად მნიშვნელოვანი ხდება ქვეყნის კეთილდღეობისთვის, ის არა მხოლოდ გავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკაზე, არამედ დიდ როლს თამაშობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ საქართველოს, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანას ბიზნესის განვითარების დიდი ისტორია არ აქვს, თუმცა იგი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პარალელურად აქტიურად ჩაერთო გლობალურ ეკონომიკურ ტენდენციებში და საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაში. ჩვენი საკვლევი თემა სწორედ, რომ ბიზნეს გარემოს და მის ფორმირებას ეხება. ვინაიდან, ვფიქრობთ, რომ ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი მსხვილი საინვესტიციო რეგიონია და შესაძლებლობა აქვს ტურიზმის, სასტუმრო/სარესტორნო ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის კუთხით ბევრი ინვესტორი დააინტერესოს, რაც გაზრდის ეკონომიკურ კეთილდღეობას ქვეყანაში. ვფიქრობთ, ჩვენი საკვლევი თემა საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ საქართველო ჯერ ისევ განვითარებადი ქვეყანაა და მისი ბიზნეს გარემო მუდმივ ცვლილებებს განიცდის და ადაპტირდება სიახლეებთან. აქედან გამომდინარე, საკითხი აქტუალურია.

თემის აქტუალობას ზრდის, როგორც „კოვიდ“ პანდემიის, ისე შუა დერეფნის შესაძლებლობა და ევროკავშირთან თანამშრომლობა. ევროკავშირი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში და მოქმედებს როგორც მთავარი პარტნიორი ეკონომიკური ზრდის, სტაბილურობისა და

მოდერნიზაციის ხელშეწყობაში. სხვადასხვა ინიციატივებით, შეთანხმებებითა და თანამშრომლობით, ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ისეთ სფეროებში, როგორცაა ვაჭრობა, ინვესტიციები, ინფრასტრუქტურის განვითარება და ინსტიტუციური რეფორმები. COVID-19-ის პანდემიამ კი იმოქმედა საქართველოს ეკონომიკაზე და გამოიწვია უპრეცედენტო სირთულეები სხვადასხვა სექტორში. ვირუსის გავრცელების შეკავების მკაცრმა ზომებმა, მათ შორის კომენდანტის საათმა და მოგზაურობის შეზღუდვებმა იმოქმედა ბიზნესებზე, განსაკუთრებით ტურიზმის, სარესტორნო და საცალო ვაჭრობის სექტორებში. ტურიზმიდან შემოსავლების შემცირებამ, რასაც მთავარი წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკაში, გამოიწვია სამუშაო ადგილების დაკარგვა და შემოსავლების შემცირება, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა სოციალურ-ეკონომიკურ წნეხი. ამ გამოწვევების წინაშე მდგომმა საქართველომ, ადაპტაციითა და საერთაშორისო თანამშრომლობის დახმარებით პანდემიის უარყოფითი შედეგების შესარბილებლად და ეკონომიკის სტაბილურობისა და ზრდისკენ გადასაყვანად შესაბამისი ქმედებები განახორციელა, რამაც ჩვენ მიერ არჩეული თემა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა.

„შუა დერეფანში“ მშრალი ტვირთების მოზიდვაზე აქტიურად მუშაობს საქართველოს რკინიგზაც. საერთაშორისო სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდული საქონლის სტატისტიკის შედარებით ირკვევა, რომ პანდემიის მიუხედავად, ეს მაჩვენებელი ზრდის დინამიკით ხასიათდება, რაც ხაზს უსვამს საქართველოს დერეფნის კონკურენტუნარიანობას. „შუა დერეფნის“ მარშრუტი, რომელიც ეხება სატრანსპორტო დერეფანს, გადის კასპიის ზღვის რეგიონში და აკავშირებს ცენტრალურ აზიას კავკასიის გავლით ევროპასთან. საქართველოსთვის ტრანსკასპიურ მარშრუტს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგან ის არის ალტერნატიული და მოკლე მარშრუტი ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობისა და

ტრანსპორტისთვის. ამ მარშრუტის გამოყენებით ქვეყანას შეუძლია გააძლიეროს თავისი როლი, როგორც მნიშვნელოვანი სატრანზიტო ჰაბი, რომელიც ხელს უწყობს საქონლისა და ენერგორესურსების გადაადგილებას. გარდა ამისა, ტრანსკასპიური მარშრუტი საქართველოს შესაძლებლობას აძლევს გააძლიეროს თავისი ეკონომიკური ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან და გამოიყენოს თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობა ვაჭრობისა და ბიზნეს ინფრასტრუქტურის განვითარების ინიციატივების მხარდასაჭერად.

კვლევის საგანი და ობიექტი:

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ბიზნეს-სექტორის, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო საწარმოების ბიზნესგარემოს ფორმირების ტენდენციები საქართველოში და მათი შედარება ევროპულ გამოცდილებასთან ხოლო კვლევის საგანია ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემო, ბიზნესზე მოქმედი ფაქტორები, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და პოტენციალის რაციონალური გამოყენების შესაძლებლობები.

კვლევის მიზანი და ამოცანები:

წარმოდგენილი სადისერტაციო თემის კვლევის ძირითადი მიზანია ევროკავშირთან თანამშრომლობის შედეგად მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარებისათვის ბიზნესგარემოს გაუმჯობესების შესაძლებლობები საქართველოში. კვლევის ამოცანებს კი წარმოადგენს საქართველოს ბიზნეს გარემოს განვითარების ეტაპების შესწავლა, მცირე და საშუალო ბიზნესის როლის შეფასება ეკონომიკურ განვითარებაში, ეკონომიკური რეფორმების გავლენა ბიზნეს გარემოზე და ბიზნესგარემოს გამოწვევების იდენტიფიცირება პანდემიის და პანდემიის შემდგომ პერიოდში, რეკომენდაციებისა და წინადადების შემუშავება.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი:

კვლევის პროცესში გამოყენებულია დიალექტიკური, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და შედარებითი ანალიზის

მეთოდები. ნაშრომში ვხვდებით ცხრილებს, დიაგრამებსა და ილუსტრაციებს, რაც დაკავშირებულია საკვლევი თემის ამოცანებით მოცული საკითხების გაანალიზებასთან.

კვლევის მეცნიერული სიახლე:

დისერტაცია წარმოადგენს ანალიტიკურ კვლევაზე დაფუძნებულ ნაშრომს საქართველოს ბიზნეს ლანდშაფტის და ეკონომიკური პროგრესის ტრანექტორიისა და ტენდენციების შესახებ. ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

□ შეფასებულია ბიზნესგარემოზე მოქმედი სოციალურ, ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორთა ერთობლიობის ზეგავლენისა და მის მიღწევაში სახელმწიფოს როლის მნიშვნელობა. დასაბუთებულია, რომ დღეისათვის ქვეყანაში ბიზნესის, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება უახლოვდება ევროპულ სტანდარტებს.

□ იდენტიფიცირებულია ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ძირითადი პრიორიტეტები, რომლებიც ფოკუსირებულია საინვესტიციო საქმიანობის შეფასებაზე სხვადასხვა სექტორში. ავტორისეული მოსაზრებებით წარმოჩენილია საინვესტიციო პოლიტიკის ხარვეზები და კლიმატის გაუმჯობესების სტრატეგიები;

□ გამოკვეთილია ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალი „შუა დერეფნის“ ფაქტორთა უპირატესობების ჭრილში. განსაზღვრულია სატრანსპორტო დარგსა და ეკონომიკურ სფეროებს შორის არსებული მრავალმხრივი კავშირების თავისებურებები;

□ დასაბუთებულია ინოვაციებისა და ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობა, როგორც ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ძირითადი მამოძრავებელი ძალა;

□ შემუშავებულია რეკომენდაციები ევროკავშირში რესურსებზე წვდომისა და ბიზნესში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ;

□ წარმოდგენილია ბიზნესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების უპირატესობები ევროკავშირში და მოცემულია წინადადებები მათი საქართველოში განხორციელების შესახებ;

□ წარმოდგენილია არგუმენტირებული წინადადებები მონეტარული პოლიტიკის შერბილების მნიშვნელობის შესახებ ბიზნესში, რაც კმნის ხარჯების დაზოგვის, მეტი ოპტიმიზაციის, პოზიტიური განწყობის და დამატებითი საინვესტიციო რესურსების მოზიდვის შესაძლებლობას;

□ შემუშავებულია კონკრეტული წინადადებები ბიზნესში კორპორაციული მდგრადობის კომპონენტების გაძლიერების წახალისების თაობაზე, სახელმწიფო მხარდამჭერი ღონისძიებების მასშტაბების გაზრდისა და მიზნობრიობის ამაღლებისათვის.

ნაშრომის აპრობაცია:

სადისერტაციო ნაშრომი განხილულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები, რეკომენდაციები, ცალკეული შედეგები ასახულია ავტორის მიერ სამეცნიერო სტატიებში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალებში, საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში.

დისერტაციის სტრუქტურა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

თავი 1. ეკონომიკის მართვის და რეგულირების მექანიზმების განვითარების ეტაპები

- 1.1 სამეწარმეო და შრომითი ურთიერთობები
- 1.2 საგადასახადო და საბაჟო სისტემები
- 1.3 საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობები

თავი 2. ბიზნესგარემო და მის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები. უცხოური გამოცდილება

- 2.1 ბიზნესგარემოზე მოქმედი გარე ფაქტორები
- 2.2 ბიზნესგარემოზე მოქმედი შიდა ფაქტორები

2.3 ევროპული გამოცდილება ეფექტური ბიზნესგარემოს ფორმირებაში

თავი 3. ეფექტური ბიზნესგარემოს ფორმირების მთავარი პრინციპები საქართველოში

3.1 ევროკავშირთან თანამშრომლობა ბიზნესის ინფრასტრუქტურის ფორმირებაში

3.2 სრულყოფილი ბიზნესგარემოს ფორმირების სირთულები და კოვიდ პანდემიის გავლენა

3.3 სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და განვითარების სტრატეგია

დასკვნები და რეკომენდაციები


ნაშრომის ძირითადი დებულებები

ნაშრომის პირველ თავში განხილულია საქართველოს სამეწარმეო, საგადასახადო და საფინანსო-საკრედიტო სისტემების განვითარების ეტაპები, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებასთან.

სამეწარმეო საქმიანობა და შრომითი ურთიერთობები გადამწყვეტ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში, ვინაიდან მეწარმეები არიან ინოვაციების, სამუშაო ადგილების შექმნისა და სიმდიდრის წარმოქმნის კატალიზატორები.

საქართველოში სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემებით სულ რეგისტრირებულია 362 740 საწარმო, საიდანაც 2023 წლის მონაცემებით მოქმედი იყო 77 243 საწარმო. მოქმედი საწარმოების პროპორცია კი შემდეგი იყო:


დიაგრამა 1



წყარო: წლიური ანგარიში saras.gov.ge


მიუხედავად ამისა, მსხვილი საწარმოების ბრუნვა და დასაქმებულ პირთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება მცირე და საშუალო საწარმოების ბრუნვას და დასაქმებულთან რაოდენობას ჯამურად.

დიაგრამა 2




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ევროკავშირში, მიუხედავად იმისა, რომ საწარმოების რაოდენობის პროცენტული წილი თითქმის იგივეა, რაც საქართველოში, მნიშვნელოვნად განსხვავდება მცირე და საშუალო საწარმოების როლი ეკონომიკაში.

დიაგრამა 3



წყარო: [Annual report on European SMEs 2022/2023](#)

დიაგრამა 4



წყარო: [Annual report on European SMEs 2022/2023](#)

როგორც დიაგრამებიდან ჩანს, მცირე და საშუალო საწარმოები ჯამში ქმნიან ევროკავშირის მთლიანი ბრუნვის ნახევარზე მეტს და მათში ჯამურად დასაქმებულია დასაქმებულთა სრული რაოდენობის თითქმის 2/3 ნაწილი. სწორედ ამიტომ, ჩვენი კვლევის ძირითადი მიმართულება არის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ეფექტური ბიზნეს გარემოს ევროპული მოდელი გადმოტანა საქართველოში, რომელიც მათ მისცემს საშუალებას იქნენ საქართველოს ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალად.

ჩვენი აზრით, მცირე და საშუალო ბიზნესი განსაკუთრებულ ფუნქციას იმენს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, ვინაიდან, აქ მისი როლი არ განისაზღვრება მხოლოდ საბაზრო სისტემის განვითარებითა და მისი მექანიზმის სრულყოფით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ ძალიან დაბალია.


ბოლო წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის პრიორიტეტები და მიმართულებები ორიენტირებულია გრძელვადიან, ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე. თუმცა, 2020 წლის პანდემიამ, რომელიც მნიშვნელოვანი საფრთხე და რთული გამოწვევა აღმოჩნდა გლობალური ეკონომიკისთვის, გარკვეული ცვლილებები შეიტანა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის დღის წესრიგში. რაც შეეხება პანდემიამდე არსებულ მდგომარეობას, 2019 წელს, ბოლო შვიდი წლის განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია და 5.0% შეადგინა.

დღეისთვის საქართველოში დასაქმების ზრდის ძირითად წყაროს კერძო სექტორი წარმოდგენს. შესაბამისად, ჩვენი აზრით, დასაქმების შემდგომი ზრდისთვის მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს კერძო სექტორის აქტივობა და უზრუნველყოფილი იქნას მაღალი ეკონომიკური ზრდა. ამ თვალსაზრისით, ბოლო


წლების ეკონომიკური ზრდის ანალიზისას, გამოყოფილი 2010 წელს, როგორც საქართველოს ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვან წელს. სწორედ აქიდან დაიწყო ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში, რომლის უდიდეს ნაწილს - 70%-ზე მეტს - კერძო ინვესტიციები შეადგენდა.

ამასთან, 2017 წლის დასაწყისიდან საგარეო მოთხოვნის გაუმჯობესებისა და ნეგატიური ფაქტორების შერბილების შედეგად, გაუმჯობესდა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი და გაიზარდა კერძო სექტორის აქტივობა, რამაც დადებითად იმოქმედა დასაქმების მაჩვენებელზე 2017 წლის განმავლობაში. 2022-2023 წელს კი დიდი მოცულობით ფულადი ნაკადების შემოდინებამ ქვეყანაში გაამყარა ლარი და შეაკავა ინფლაცია, რამაც დადებითად იმოქმედა ვალის დონეზე და შეამცირა იგი.

დიაგრამა 5



წყარო: [Forbes Georgia](#)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური/საქართველოს ეროვნული ბანკი

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განახლებული შრომის კოდექსის საფუძველზე დაიწყო შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობა. რაც კომპანიებისთვის დიდ გამოწვევად იქცა, რადგან მჭირეა ამ კუთხით გამოცდილება ქართულ ბიზნესში. ბიზნეს სუბიექტში შრომითი ურთიერთობების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანისთვის, ჩვენი აზრით მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, სამართლებრივად გამართული შრომითი ურთიერთობების პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება, შემდეგ კი პერმანენტული ადმინისტრირება, რომლის სწორად წარმართვაზე, უკვე პასუხისმგებელი ორგანიზაცია იქნება.

მოცემული გარემოებები და მაგალითები მიუთითებენ, რომ საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ნელ-ნელა ხდება ბიზნესთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმებისა და სახელმწიფოს როლის დახვეწა და გაუმჯობესება.

რაც შეეხება საგადასახადო სისტემას, ჩვენი აზრით, საქართველოს საგადასახადო სისტემის განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს 2004 წელს მიღებული მეორე საგადასახადო კოდექსი. იგი ერთი მხრივ, გადასახადების ლიბერალიზაციაზეა ორიენტირებული, მეორე მხრივ, კი მკაცრ საგადასახადო ადმინისტრირებაზე.

ახალი კოდექსი ითვალისწინებდა საგადასახადო პოლიტიკის ძირულ გადახედვას და ისახავდა შემდეგ მიზნებს:

1. ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა - შემცირებული გადასახადებისა და დაბალი განაკვეთების მეშვეობით.

2. საგადასახადო კულტურის ამაღლება გამარტივებული ადმინისტრაციული მექანიზმებით;

3. სტაბილური საინვესტიციო გარემო-მყარი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებით და ლიბერალური ეკონომიკური პრინციპების დამკვიდრებით;

4. ლეგალური ბიზნესის მხარდაჭერა - არაკეთლსინდისიერი გადამხდელების მიმართ გამკაცრებული ადმინისტრაციული მექანიზმებით.


თუ კი მიღებული კოდექსის შედეგებს გავაანალიზებთ და 2005-2017 წლების ინტერვალში საგადასახადო ტვირთის ცვლილების ტენდენციას შევაფასებთ, რაც ქემოთ მე-6 გრაფიკზე არის ასახული, დავინახავთ, რომ 2006 წელს, წინა წლებთან შედარებით, საგადასახადო ტვირთი 18.4% პუქტით შემცირდა, რაც სწორედ, რომ 2004 წელს მიღებული ახალი საგადასახადო კოდექსით არის განპირობებული. ასევე, 2009 წელს საგადასახადო ტვირთი 38.6%-დან 15.3%-მდე შემცირდა, რაც კვლავ საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით იყო გამოწვეული. აღსანიშნავია,

რომ გადასახადების მოგებასთან ფარდობის მაჩვენებლის შემცირების პარალელურად იზრდებოდა მშპ-თან ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ფარდობის მაჩვენებელი, რაც საგადასახადო სისტემაში კორუფციის აღმოფხვრით, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების პროცესის მოწესრიგებით და ადმინისტრირების გაუმჯობესებით აიხსნება.

2005 წლიდან გადასახადების რაოდენობისა და განაკვეთების შემცირების შედეგად გაიზარდა საგადასახადო შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში. 2004-2010 წწ. გადასახადების აკრეფა გაიზარდა სამჯერ, 2,2 მლრდ. ლარიდან 5,8 მლრდ. ლარამდე. 2005 წლამდე გადასახადების გადახდა მშპ-საგან შეადგენდა 16%-ს, რეფორმის შემდეგ ამ მაჩვენებელმა მიაღწია 23-24%.

დიაგრამა 7

საგადასახადო ტვირთი - საგადასახადო შემოსავლების წილი მშპ-თან (%)



წყარო: mof.ge

შემოსავლების სამსახურმა 2022 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა კანონშესაბამისობის და საგადასახადო რისკების მართვის გაძლიერების მიმართულებით. „2022-2023 წლების კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმის“ მიხედვით, რომელიც ეფუძნება სამსახურის სტრატეგიას და გადასახადის გადამხდელის 4 ფუნდამენტურ ვალდებულებას: რეგისტრაციას, საგადასახადო ვალდებულებების დროულ დეკლარირებას, დეკლარირებული მონაცემების სისწორეს და კუთვნილი გადასახადების დროულ გადახდას.

ამავე წელს განხორციელდა საბაჟოს სერვისებთან დაკავშირებული სამართლებრივი, პროცედურული და ტექნოლოგიური ცვლილებები, რომლის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს დეკლარანტების/მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა „eCustoms“-ში რეგისტრაცია.

ამ ცვლილების ფონზე კი გაფორმდა 371 637 საქონლის საბაჟო დეკლარაცია, ჯამურად საქონლის საბაჟო დეკლარაციების რაოდენობა გაიზარდა 12%-ით, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული სისტემის გამარტივებასა და გაციფრულებასთან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რგოლი ქვეყნის ბიზნეს გარემოს განვითარებისთვის არის საფინანსო-საკრედიტო სისტემა, რომელსაც შეუძლია, როგორც წახალისოს მეწარმეობა, ისე დათრგუნოს მისი გაფართოების შესაძლებლობები. იგი ზემოქმედებს საზოგადოებისა და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარებაზე და მონაწილეობს საქონლის და მომსახურების ფასების დადგენაში, ასევე კონკურენციაში, რაც თავის მხრივ მოქმედებს ფასებზე, გამოხატავს საწარმოს სამეურნეო ოპერაციებს, და მოქმედებს სამეურნეო ოპერაციის მხარეების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ქვეყანამ დანერგა ახალი ფინანსური ინსტრუმენტები და სერვისები ფინანსური ბაზრის დივერსიფიკაციისა და ბიზნესისა და ფიზიკური პირების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეს

მოიცავდა კაპიტალის ბაზრების, სადაზღვევო სერვისების და არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების განვითარებას:

□ განვითარდა ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომელიც კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოუშვან აქციები და ობლიგაციები კაპიტალის მოსაზიდად. ამან უზრუნველყო დაფინანსების ალტერნატიული წყაროები ტრადიციული საბანკო სესხების გარდა. უახლოეს წარსულს, რომ შევხედოთ 2023 წელს განხორციელდა მილიარდ ლარზე მეტი ღირებულების 18 ემისია, რომლებიც შვიდ სხვადასხვა სექტორზე ნაწილდება. კორპორატიული ობლიგაციების ბაზრის ზომამ კი, 2023 წელს 1,8 მლრდ ლარი შეადგინა.


□ გარდა ამისა, დაარსდა მიკროსაფინანსო ინსტიტუტები, რათა მცირე სესხებისა და ფინანსური მომსახურების გაწევა დაბალი შემოსავლის მქონე პირებისა და მიკრომეწარმეებსთვისაც შესაძლებელი ყოფილიყო, რომლებსაც არ ჰქონდათ წვდომა ტრადიციულ საბანკო სერვისებზე. მიკროკრედიტების პროგრამები მიზნად ისახავს სიღარიბის დაძლევას და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას.

□ გაფართოვდა სადაზღვევო ინდუსტრია, რომელმაც შესთავაზა საზოგადოებას სადაზღვევო პროდუქტების ფართო ასპექტი. 2023 წლის განმავლობაში მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან 818 მილიონი ლარი შეადგინა. ამავე პერიოდის შედეგებით მზღვეველების სადაზღვევო მოგებამ შეადგინა 190,9 მილიონი ლარი, წმინდა მოგებამ კი 63,5 მილიონი ლარი. 2022 წლის ანალოგიურ პერიოდში კი ეს მაჩვენებელი 35 მილიონი ლარი იყო.

□ ონლაინ ბანკინგისა და ელექტრონული გადახდის სისტემების დანერგვამ ხელი შეუწყო კომფორტულ და უსაფრთხო ფინანსურ ტრანზაქციებს. ეს მოიცავდა ინტერნეტ ბანკინგის პლატფორმებს, მობილური ბანკინგის აპლიკაციებს და

ელექტრონულ გადახდის ქსელებს, რაც აძლიერებს მოსახლეობის ფინანსურ სერვისებზე წვდომას.

დიაგრამა 8



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პირდაპირი კავშირი ფულად-საკრედიტო პოლიტიკასა და ცხოვრების დონეს შორის შემდეგია: გაფართოების ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ხორციელდება საპროცენტო განაკვეთების და საჭირო სარეზერვო კოეფიციენტის შემცირებით, ბანკის რეფინანსირების გაფართოებით და ფასიანი ქაღალდების ყიდვით ღია ბაზარზე. ეს ზომები იწვევს ფულის მასის ზრდას, რაც ზრდის კომერციული ბანკების საკრედიტო რესურსებს, ეკონომიკის რეალურ სექტორზე სესხების გაცემის გაზრდას, პროცენტული განაკვეთების შემცირებას და ინვესტიციების ზრდას.

ნაშრომის მეორე თავი ეხება ბიზნეს გარემოზე მოქმედ ფაქტორებს; მცირე და საშუალო ბიზნესების წახალისებასთან

დაკავშირებით ევროპულ პრაქტიკას და საქართველოს მნიშვნელოვანი დარგების განვითარების სტრატეგიას.


საზოგადოდ, გარე ბიზნეს გარემო - ეს არის ობიექტური პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც არსებობს სამეწარმეო ორგანიზაციის გარეთ და პირდაპირ ან ირიბად მოქმედებს მასზე.

იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც არაპირდაპირ გავლენას ახდენს ბიზნესზე ჩვენ გამოვყოფთ შემდეგს: პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, სამეცნიერო, ტექნიკური და ტექნოლოგიური, სოციალურ-კულტურული, დემოგრაფიული, ბუნებრივი და კლიმატური და ეკოლოგიური.

პოლიტიკური ფაქტორები მოიცავს ქვეყნის პოლიტიკურ არენაზე მიმდინარე მოვლენებს. ამრიგად, ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობაზე გავლენას ახდენს პოლიტიკური სტაბილურობის დონე და მდგრადობა მთავრობის შტოებს შორის. ასევე სახელმწიფო და სასამართლო ხელისუფლების დამოკიდებულებას მეწარმეობის მიმართ.

მაგალითად, 2006 წელს საქართველოს დემოკრატიის ინდექსი შეადგენდა 4,9-ს, ხოლო 2022 წლისათვის (უკანასკნელი მონაცემი) შეადგენს 5,2-ს. ამავე პერიოდში ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი S&P-ის მიხედვით B+ -დან გაიზარდა BB-მდე. აღნიშნული ცვლილება პირდაპირპროპორციულად აისახა როგორც პირდაპირ ინვესტიციებზე, ასევე სახელმწიფო ვალის ზრდის შესაძლებლობაზე, რაც თავის მხრივ ეკონომიკაში გაშვებულია თანხები.

დიაგრამა 9



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მეწარმეობის სტიმულირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამეცნიერო, ტექნიკური და ტექნოლოგიური ფაქტორები, რომლებიც ასახავს ქვეყანაში სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის მდგომარეობას და ტენდენციებს.

ინოვაციების გლობალური ინდექსის (GII) 2023 წლის შედეგების მიხედვით საქართველო 65 ადგილზეა 29,9 ქულით. აღნიშნული ინდექსი 132-მდე ქვეყანას აფასებს ინოვაციური შესაძლებლობების მიხედვით. 2023 წელს საქართველოს ქულა გაუმჯობესდა ხუთ კომპონენტში - ბაზრის განვითარების დონე, ადამიანური კაპიტალი და კვლევა, საბაზრო გარემო, ცოდნა და ტექნოლოგიები და შემოქმედებითი პროდუქტები. ხოლო რეგრესი დაფიქსირდა კვლევის დანარჩენ 2 კომპონენტში - ინსტიტუტები და ინფრასტრუქტურა.

დიაგრამა 10




წყარო: [https://idfi.ge/ge/global_innovation_index_\(gii\)_2023_results_of_georgia](https://idfi.ge/ge/global_innovation_index_(gii)_2023_results_of_georgia)

ასევე გარე ფაქტორებზე ახდენენ გავლენას ბუნებრივი და კლიმატური პირობები. ეს უკანასკნელი მოიცავს მეწარმეთა ფუნქციონირების ბუნებრივ და კლიმატურ პირობებს, აგრეთვე სხვადასხვა ბუნებრივი რესურსებისა და ენერჯის მატარებლების მარაგებს, მათ ტერიტორიულ განაწილებას, სამეწარმეო საქმიანობაში განვითარების დონის და მათი ობიექტური ხელმისაწვდომობის ხარისხს.

ბიზნეს გარემოზე მოქმედი ბოლო გარე ფაქტორია სოციალურ-კულტურული და დემოგრაფიული ფაქტორები. ხშირად, ეს ორი ჯგუფი გაერთიანებულია ერთში იმის გამო, რომ დემოგრაფიული ფაქტორები, სოციალური ფაქტორების განუყოფელი ნაწილია. ჩვენი აზრით, ამ მიდგომას აქვს არსებობის სრული უფლება,

ვინაიდან სოციოლოგიის თვალსაზრისით, დემოგრაფიული პირობები პირდაპირ გავლენას ახდენს ერის განვითარების სოციალურ-კულტურულ პირობებზე და პირიქით.

ნახაზი 1. ბიზნესზე მოქმედი გარე ფაქტორების ერთობლიობა



წყარო: ნახაზი აგებულია ავტორის მიერ


ბიზნეს გარემოს განხილვა შეუძლებელია შიდა გარემოს გარეშე, რომელიც მისი სტრუქტურის განუყოფელი ნაწილია. იგი შედგება იმ ელემენტებისგან, რომლებზეც მეწარმეს შეუძლია იქონიოს გავლენა და რომლის კონტროლიც შესაძლებელია.

ვინაიდან ბიზნეს საქმიანობის მთავარ ფაქტორს მიწა, შრომა, კაპიტალი და მეწარმეობრივი უნარი წარმოადგენს, ისინი პრაქტიკულ საქმიანობაში დიფერენცირდებიან. ბიზნეს გარემოს მნიშვნელოვანი ელემენტია თავად მეწარმე, რაც შიდა გარემოს არა მხოლოდ ობიექტურს, არამედ სუბიექტურსაც ხდის, როდესაც

ცვლადების მდგომარეობა დამოკიდებულია მეწარმის პიროვნულ მახასიათებლებზე. ბიზნესის მსვლელობასთან ერთად იცვლება მათი ხარისხი და ფორმა/სახე. შიდა ფაქტორები არანაკლებ ახდენენ გავლენას ბიზნესგარემოზე; ისინი განპირობებულნი არიან შიდა ორგანიზაციის თავისებურებებით. ამ შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება: მიზნები, სტრატეგია, სტრუქტურა, ამოცანები, ტექნოლოგია, პერსონალი, ძალაუფლება და საორგანიზაციო კულტურა. მათი საშუალებით ხდება ორგანიზაციაში საჭირო ცვლილებების გატარება და დასახული მიზნების მიღწევა.

ნახაზი 2


ბიზნესის შიდა გარემოს სტრუქტურა



წყარო: ნახაზი აგებულია ავტორის მიერ

საწარმოების განვითარებასა და ხელსაყრელი ბიზნეს კლიმატის შექმნაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შიდა და გარე ფაქტორების ერთობლიობა. ეს ფაქტორები ასევე გადამწყვეტ როლს თამაშობენ ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებაში და მათ ზრდასა და წარმატებაზე. მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ მცირე და საშუალო საწარმოები (SMEs), რომლებიც გადამწყვეტი იყო ევროკავშირის პროგრესისთვის ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ფუნქციონირებს მჭიდრო თანამშრომლობით მსხვილ კორპორაციებთან. როგორც დიაგრამა №3-ში და №4-ში არის განხილული, ევროკავშირში მცირე და საშუალო საწარმოები ჯამში ქმნიან ევროკავშირის მთლიანი ბრუნვის ნახევარზე მეტს და მათში ჯამურად დასაქმებულია დასაქმებულთა სრული რაოდენობის თითქმის 2/3 ნაწილი. ეს გარემოებები მიგვანიჭებენ იმაზე, რომ საჭიროა უფრო მეტად განვითარდეს მცირე და საშუალო საწარმოების როლი და წილი საქართველოს ეკონომიკაში. ამისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინოვაციები და ტექნოლოგიები. ინოვაციების გლობალურ ინდექსში, სადაც საქართველოს 65-ე ადგილი აქვს, პირველ ათეულში მოხვდა ევროპის 7 ქვეყანა.

დიაგრამა 11



წყარო: [https://idfi.ge/ge/global-innovation-index \(gii\) 2023 results of georgia](https://idfi.ge/ge/global-innovation-index-gii-2023-results-of-georgia)

აღნიშნული დიაგრამა გვიჩვენებს ევროპული ქვეყნების უპირატესობას სხვა ქვეყნებისადმი ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტში, როგორც არის ინოვაციები და ტექნოლოგიების განვითარება. ამასთან დაკავშირებით ევროკავშირში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისთვის მიღებული იქნა "მცირე და საშუალო საწარმოთა დაცვის ინტეგრირებული პროგრამა". პროგრამა მიზნად ისახავს მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებას. გარდა ამისა, ევროკავშირში პროფესიული სწავლების თვალსაზრისით შემუშავდა "ADaPT" პროგრამები, "ლეონარდოს" პროგრამა და ტექნოლოგიის კვლევისა და განვითარების პროგრამა,

რომლის ფარგლებში ხდება ინდივიდებისა და ორგანიზაციების გადამზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა ტექნოლოგიური მიმართულებით შეიძლება განვიხილოთ დანიაში მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის მაგალითზე. დანიის მთავრობის მიერ ინოვაციებისა და მცირე ბიზნესის ზრდის წახალისება აისახება, განსაკუთრებით, სამთავრობო უწყებებსა და წარმოების სექტორს შორის "დიალოგის" გაფართოებაში. ამგვარი დიალოგის მიზანია, უპირველეს ყოვლისა, არსებული საკანონმდებლო აქტების შესაბამისად წარმოებული საქონლისა და მომსახურების ხარისხის კონტროლის გაუმჯობესება.

ამის მაგალითია მცირე და საშუალო კომპანიების სპეციალიზაცია ინსტრუმენტების წარმოების სექტორში და მედიცინის ელექტრონიკის სექტორში. ამ ფირმებიდან ზოგიერთმა წამყვანი პოზიციები დაიკავა ამ სფეროებში მსოფლიო ლიდერებს შორის, პირველ რიგში ეროვნული კლინიკებისა და ჯანმრთელობის ეროვნული სისტემისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიღწევის გამო.


ევროკავშირის დონეზე მცირე ბიზნესისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის გარდა, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანას აქვს მცირე ბიზნესის განვითარების სტიმულირების საკუთარი ეროვნული სისტემა, რომლის მიზანია ეკონომიკური კლიმატის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკური პირობების შექმნას და ნორმალურ ფუნქციონირებას. ეს არის ფინანსური დახმარების, საწარმოს მენეჯერების ტრენინგების სისტემის ორგანიზება, მეწარმეების ტრენინგი, რომელთაც სურთ დაიწყონ დამოუკიდებელი საქმიანობა. უფრო მეტიც, ასეთ დაწესებულებებს ფილიალები აქვთ ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში. ამის მაგალითია მცირე და საშუალო ინდუსტრიული საწარმოების ესპანეთის ინსტიტუტი (Institute de la Pequena y Mediana Empresa Industrial), რომელიც ავტონომიური ორგანიზაციაა მრეწველობისა

და ენერგეტიკის სამინისტროს შემადგენლობაში. ინსტიტუტი 25 წლის განმავლობაში ეწევა ინფორმაციულ მხარდაჭერას და მცირე ბიზნესის ფინანსურ მხარდაჭერას.

ევროპული ციფრული ინოვაციური ჰაბები (EDIH) წარმოადგენს ორგანიზაციას ან საკოორდინაციო ჯგუფს თავისი ექსპერტიზით, რომელიც მხარს უჭერს საწარმოებს, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებს (SME) და ამასთან ახდენს სახელმწიფო სექტორის ციფრულ ტრანსფორმაციასა და კაპიტალიზაციას. DIHs არის არა მარტო სერვისები, არამედ მეწარმეების ცოდნის ამაღლების, ციფრული მზადყოფნის შეფასების, ციფრული ტრანსფორმაციის, ინტეგრაციის, სხვადასხვა ტექნოლოგიის ადაპტაციისა და მოდიფიკაციის პლატფორმა. მისი მიზანია კომპანიების და სტარტაპების ხელშეწყობა, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება. DIHs მიზანია ასევე დაახლოვოს დარგი, ბიზნესი და მათი ადმინისტრირება, რათა შეიქმნას ბაზრისთვის მზა ტექნოლოგიები (განსაკუთრებით სტარტაპებისა და SMEs-ს მონაწილეობით).

ტექნოლოგიური განვითარების გარდა, მნიშვნელოვანია კაპიტალის ბაზრების განვითარება და ბიზნესისთვის ფულად რესურსებზე ხელმისაწვდომობა. აღსანიშნავია, რომ მთლიანობაში ევროკავშირში იზრდება ინვესტიციები რისკის გაზრდილი წილით (ე.წ. ვენჩერული კაპიტალი), რაც მიუთითებს ინოვაციური საწარმოების მიერ სარისკო კაპიტალის გამოყენების ზრდაზე. ამავე დროს, მიუხედავად ზრდის ტენდენციებისა და მცირე ინოვაციური საწარმოების წილის ზრდისა, მცირე და საშუალო საწარმოთა რიცხვი, რომელიც იყენებს სარისკო კაპიტალს, პრაქტიკულად უცვლელი რჩება.

დიაგრამა 12



წყარო: <https://www.cbinsights.com/research/report/venture-trends-europe-q1-2023/>

მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (SME) ხელსაყრელი გარემოს შექმნა ევროკავშირში ყოველთვის პრიორიტეტული იყო, მაგრამ მას თან ახლდა დაბრკოლებები. წარმოდგენილი გვაქვს ორი, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა, მათი გადაჭრის გზები და ჩვენეული შეფასება, რაც გასათვალისწინებელია მსგავსი პრობლემების საქართველოში წარმოქმნის შემთხვევაში:

1. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა: მცირე და საშუალო საწარმოებს ხშირად ექმნებოდათ სირთულეები ფინანსების, განსაკუთრებით საბანკო სესხებისა და სარისკო კაპიტალის წვდომისას, დაკრედიტების მკაცრი კრიტერიუმების გამო. გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა კიდევ უფრო გააძლიერა ეს გამოწვევები, რამაც გამოიწვია საკრედიტო შეზღუდვები და

ლიკვიდობის პრობლემები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. ევროპის საინვესტიციო ფონდებმა (EIF), შესთავაზა მცირე და საშუალო ბიზნესი წარმომადგენლებს გარანტიები და სარისკო კაპიტალი, რათა ხელი შეუწყვეს მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე ხელმისაწვდომობას. ამ ინსტრუმენტები შეამცირა რისკები ფინანსური ინსტიტუტებისთვის და ხელი შეუწყო მათ სესხის გაცემას მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.

2. ტექნოლოგიური მიღწევები: ციფრული ტრანსფორმაცია წარმომადგენს როგორც შესაძლებლობებს, ასევე გამოწვევებს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ციფრული ტექნოლოგიები გვთავაზობს ახალ გზებს ინოვაციის, პროდუქტიულობის გაზრდისა და ბაზრის გაფართოებისთვის, ბევრ მცირე და საშუალო ბიზნესს ევროკავშირში არ გააჩნდა რესურსები, გამოცდილება და ციფრული ინფრასტრუქტურა ამ ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებისთვის. ბარიერების გადალახვა კი მოითხოვდა ინვესტიციას ციფრული უნარებისა და დამხმარე მარეგულირებელ ჩარჩოების შექმნისთვის, რომლებიც ხელს უწყობენ ციფრულ ინოვაციებსა და მეწარმეობას. ევროკავშირის ციფრული ინოვაციების ჰაბები (DIH) უზრუნველყოფენ მცირე და საშუალო ბიზნესის წვდომას ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაზე და დაფინანსებაზე ციფრული ტრანსფორმაციის ინიციატივების მხარდასაჭერად. DIH-ები მიაზრებს ისეთ სერვისებს, როგორიცაა ტრენინგ-ვორქშოპები, რათა დაეხმაროს მცირე და საშუალო ბიზნესს ციფრული ტექნოლოგიების მიღებაში.

ევროპული გამოცდილების და მექანიზმების გამოყენებით, საქართველოს შეუძლია დააჩქაროს თავისი ეკონომიკური განვითარება, გააძლიეროს კონკურენტუნარიანობა და მიაღწიოს მიზნებს - მდგრადი ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნით. ევროკავშირთან თანამშრომლობა საქართველოს სწავლის,


ინოვაციების და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სთავაზობს.

ნაშრომის მესამე თავი კონცენტრირდება საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის გავლენაზე ქართული ბიზნესგარემოს ფორმირებაზე. ასევე არის თუ არა თანხვედრა „კოვიდ“ პანდემიის წინააღმდეგ გამოწვეულ ეკონომიკურ პრობლემებთან ბრძოლისას ევროპულსა და ქართულ სტრატეგიას შორის.

2017-2020 წლებში, მას შემდეგ, რაც საქართველო-ევროკავშირის განახლებული ასოცირების დღის წესრიგის ფორმალური ინიცირება მოხდა, საქართველო ინტეგრირდა ევროკავშირის სტანდარტებთან. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან ყოვლის-მომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს ბიზნეს ლანდშაფტზეც. ამ შეთანხმების მეშვეობით საქართველომ მოიპოვა ევროკავშირის შიდა ბაზარზე შესვლის შესაძლებლობა, რამაც ხელი შეუწყო როგორც საქონლის, ისე სერვისების ვაჭრობის ლიბერალიზაციას.

ბოლო წლების მონაცემებით, 2023 წლის პირველ და მეორე კვარტალში ინვესტიციების შესამჩნევი ზრდა შეინიშნება წინა წლების შესაბამის პერიოდებთან შედარებით. კერძოდ, 2023 წლის პირველ კვარტალში სააქციო კაპიტალი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 17.0%-ით გაიზარდა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 60.5%-ს შეადგენს. უფრო მეტიც, 2023 წლის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება 2020 და 2021 წლების მონაცემებს. ჩვენ ამ ტენდენციას მივაწერთ COVID-19 პანდემიას, რამაც გამოიწვია იმ წლების განმავლობაში ინვესტიციების მაჩვენებლების კლება.


დიაგრამა 13



წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhuri-investitsiebi>

აღსანიშნავია, რომ DCFTA-მ დიდად შეუწყო ხელი საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობის ზრდას ტარიფების შემცირებით, სავაჭრო დაბრკოლებების აღმოფხვრით და რეგულაციების სტანდარტიზაციით. შესაბამისად, ქართულმა პროდუქტებმა მოიპოვეს ევროკავშირის ბაზარზე წვდომა, რამაც ხელი შეუწყო ბიზნეს სექტორში ბრუნვის ზრდას, რაც მე-14 დიაგრამაზეა ნაჩვენები.

დიაგრამა 14



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


აქვე უნდა აღინიშნოს პროექტი „შუა დერეფანი“, რომელიც მიზნად ისახავს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კავშირის გაძლიერებას უფრო ეფექტური და საიმედო გზით.

შუა დერეფნის ინიციატივა მრავალმხრივ მიზანს ემსახურება. არსებითად, იგი ფოკუსირდება ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის შექმნაზე გადაზიდვებისთვის და ტრანზიტის ჭრილში მთელ დერეფანში და მონაწილე სახელმწიფოებს შორის მაღალხარისხიანი კოორდინაციის დამყარებაზე. იგი უნდა იყო მორგებული თანამედროვე სტანდარტებზე და მან უნდა შეძლოს მიმდინარე არაპროგნოზირებად გლობალურ ლანდშაფტში, შეამსუბუქოს ეს გაურკვეველობა და შეასრულოს კომპენსატორული როლი.

„შუა დერეფნის“ პერსპექტივის წინსვლა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რუსეთის, უაღრესად კონკურენტუნარიანი ჩრდილოეთ მარშრუტის მთავარი მონაწილის, გლობალური ეკონომიკური ლანდშაფტიდან გასვლით, როცა მან უკრაინაში

შეჭრა განახორციელა. სანქციების უარყოფითმა ზემოქმედებამ კიდევ უფრო გაართულა გამოწვევები სამხრეთ მარშრუტისთვის. გარდა ამისა, შეფერხებულ სამხრეთ მარშრუტს შეექმნა დამატებითი სირთულეები, რომლებიც გამოწვეული იყო თალიბების მიერ ავღანეთში ფეხის მოკიდებით. შესაბამისად, ამ ყოველივემ წარმოადგინა დაბრკოლება სამხრეთის მარშრუტით ევროპაში დიდი მოცულობის ტრანსპორტირებისთვის, რამაც საბოლოოდ დამატებითი უპირატესობა მიანიჭა „შუა დერეფანს“.

დიაგრამა 15



წყარო: შსს ანალიტიკური დეპარტამენტი

მცირე და საშუალო საწარმოების შენარჩუნება დიდ ძალისხმევას მოითხოვს სტაბილურ ეკონომიკურ პირობებშიც კი. განვითარებადი ქვეყნები, რომლებსაც მოუწიათ კოვიდ პანდემიის გამოწვევებს გამკლავებოდნენ, განსაკუთრებით დაუცველები აღმოჩნდნენ, რადგან მცირე და საშუალო ბიზნესებს, როგორც წესი, აქვთ ნაკლები ლიკვიდური აქტივები და შეზღუდული ფინანსური რესურსები, შესაბამისად ისინი ეყრდნობიან საბანკო ინსტიტუტებს. ამ დამოკიდებულებამ, ჩვენი აზრით, ხელი შეუწყო 2020 წლის პანდემიის დროს განცდილ არასტაბილურ

მდგომარეობას. ამ საწარმოების მნიშვნელოვანი ეკონომიკური როლის გაცნობიერებით, საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა გაეტარებინა შესაბამისი ზომები, რათა დახმარებდა მათ ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებაში.

პანდემიის პირობებში ევროკავშირმა მცირე და საშუალო საწარმოების ეკონომიკური საქმიანობის შეფერხების წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოს ადგილობრივ ბანკებთან თანამშრომლობით გაუწია მხარდაჭერა ჩვენს ქვეყანას, კერძოდ:

- საპროცენტო სუბსიდიებზე ხელმისაწვდომობა მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის (სესხებზე ექვსი თვის განმავლობაში). თუ სესხი ქართულ ლარში იყო აღებული, სახელმწიფო ფარავდა პროცენტის 80%-ს, ხოლო აშშ დოლარისა და ევროს შემთხვევაში აღებულ სესხებზე სახელმწიფო აფინანსებდა პროცენტის 70%-ს.

- მცირე და საშუალო ზომის სასტუმროები 4-დან 50-მდე ნომრის რაოდენობით, რომლებმაც მიიღეს სესხი 2020 წლის 1 მარტამდე საკუთარი ქონების მშენებლობის, გაფართოების, განახლების ან რეკონსტრუქციისთვის, სესხის მაქსიმალური დასაშვები თანხა იყო 1 000 000 ქართული ლარი, 300 000 აშშ დოლარი ან 250 000 ევრო.

ჩვენი აზრით, ეს ზომები დაეხმარებოდა მცირე და საშუალო ბიზნესებს გამკლავებოდნენ პანდემიის შედეგად წარმოქმნილ ფინანსურ გამოწვევებს, რაც მათ საშუალებას აძლევდა შეენარჩუნებინათ თანამშრომლები და შემდეგ წვლილი შეეტანათ ეკონომიკური მდგრადობის აღდგენის პროცესში.

COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ჩვენი ქვეყნის ფისკალურ შემოსავალზე. 2023 წლის კონტექსტში აშკარაა, სახელმწიფო ვალი შენარჩუნებულია მაღალ დონეზე, როგორც ეს მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი 1

სახელმწიფო ვალის მდგომარეობა - 2023 წლის სექტემბერი
(ათასი ლარი)


ათასი ლარი	ნაშთი პერიოდის დასაწყისში	ნაშთი პერიოდის ბოლოს	ნაშთის გადახდა წინა თვესთან	ათვისე ბული/შემოსული თანხა პერიოდში	პირითადი თანხის დაფარვა პერიოდში	გადახდილი საპროცენტო ხარჯი პერიოდში
სახელმწიფო საგარეო ვალი	22 528 457,80	22 639 062,9	110 605,0	183 780,5	104 819,5	40 862,2
<i>მ.შ. მთავრობის ვალი</i>	21 437 493,3	21 540 229,8	102 736,0	183 780,5	104 819,5	40 862,2
<i>სახელმწიფო საგარეო ვალი USD</i>	\$ 8 568 560,0	\$ 8 452 773,4	\$ 115 786,6	\$ 69 348,0	\$ 39 721,6	\$ 15 491,0
<i>მ.შ. მთავრობის ვალი USD</i>	\$ 8 153 618,3	\$ 8 042 500,8	\$ 111 117,6	\$ 69 348,0	\$ 39 721,6	\$ 1 722,5
სახელმწიფო საშინაო ვალი	8 095 970,7	8 065 011,4	-30 969,3	281 063,4	312 032,7	1 722,5
<i>მ.შ. მთავრობის ვალი</i>	8 180 667,2	8 148 593,7	-32 073,4	281 063,4	314 009,4	18 309,1
სულ სახელმწიფო ვალი	30 624 428,6	30 704 064,3	79 635,7	464 844,0	416 852,2	58 084,6
<i>მ.შ. მთავრობის ვალი</i>	29 618 160,5	29 688 823,5	70 663,0	464 844,0	418 828,9	59 171,3

წყარო: https://mof.ge/saxelmwifo_valis_statistika

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოცულობის შესამჩნევი კლება დაფიქსირდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 616.9 მლნ აშშ დოლარი

შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 52.9%-ით შემცირდა. ეკონომიკური აქტივობის შენელებამ და შემდგომმა ეკონომიკურმა ვარდნამ პირდაპირი უარყოფითი გავლენა მოახდინა დასაქმების მაჩვენებლებზე, განსაკუთრებით დასაქმებული ქალების წილზე, რომელიც მნიშვნელოვნად შემცირდა. COVID-19-ის პანდემიამ უდავოდ იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკაზე, რაც ხაზს უსვამს მთავრობის ჩარევისა და სწრაფი ეკონომიკური აღდგენის აუცილებლობას. შესაბამისად, 2021 წელს, პანდემიის დაწყებიდან მეორე წელს, უფრო მეტი ადამიანი აღმოჩნდა უმუშევარი, უმუშევრობის დონე წინა წელთან შედარებით 11%-ით გაიზარდა, რის შედეგადაც მოსახლეობის 20,6% დარჩა უმუშევარი. მიმდინარე წლისთვის კი ის კვლავ შემცირდა და ბოლოს 6 წლის მინიმუმზეა.

დიაგრამა 16



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დაჩქარებული ეკონომიკური განვითარებისკენ სწრაფვის მიუხედავად, საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა, შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე გამოწვევების წინაშე დგას. იმისათვის, რომ მეტად ეფექტური გახდეს ინოვაციის წახალისების პროცესი, ქვეყანაში უნდა გატარდეს ისეთი რეფორმები, როგორიცაა ბიზნეს კანონმდებლობისა და რეგულაციების დახვეწა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, მეწარმეობის ტრენინგის შეთავაზება და სამეწარმეო ცოდნის ამაღლება მთელს საზოგადოებაში. გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ უნდა არსებობდეს ინიციატივები ბიზნესის წახალისების მიზნით, რათა ისინი ჩაერთონ თავიანთი საქონლის უცხოურ ბაზრებზე ექსპორტში, რითაც გააძლიერებენ ექსპორტის წილს ეკონომიკაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მიაღწია წინსვლას ამ სფეროებში, რჩება გამოწვევები გადასაჭრელი, განსაკუთრებით ადამიანურ კაპიტალთან, კვლევასთან და ტექნოლოგიურ წინსვლასთან დაკავშირებით.

სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მონაცემების შესწავლის შედეგად მიღებული შეხედულებებიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ეკონომიკის წინსვლას რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა აფერხებს. ამ გამოწვევებს შორის მთავარია კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ნაკლებობა, განუვითარებელი ადამიანური კაპიტალი და ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა. შესაბამისად, აუცილებელია, რომ მთავრობამ ხელი შეუწყოს კერძო სექტორის ზრდისთვის ხელსაყრელ გარემოს, მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები და ჩამოაყალიბოს სამართლიანი და დაბალი რისკის მქონე ბიზნეს ლანდშაფტი. უფრო მეტიც, ბიზნესის გაფართოების წახალისება უმნიშვნელოვანესია, რაც მოითხოვს მოსახლეობაში ინოვაციების და სამეწარმეო გამჭვირვალობის განვითარებას, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაძლიერებასთან ერთად, რაც ეკონომიკური წინსვლის საფუძველია.

ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების ეკონომიკურმა სტრატეგიამ მოიზიდა ინვესტიციები და ხელი შეუწყო ეკონომიკურ წინსვლას, მაინც ვერ ჩამოაყალიბა ძლიერი საფუძველი საქართველოს ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად და მდგრადი გრძელვადიანი ზრდის ხელშეწყობისთვის. გარდა ამისა, აშკარაა, რომ პროგრესს ვერ აღწევს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი და არც უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებლებია შემცირებული. წინსვლისთვის საჭიროა ფოკუსირება ინიციატივებზე, რათა ხელი შეუწყოს მათ მუდმივ ზრდას ქვეყნის შიგნით:

1. კანონების და ბიზნეს კლიმატის გაძლიერება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის;

2. მცირე და საშუალო ბიზნესებში სამეწარმეო შესაძლებლობების ზრდის ხელშეწყობა და თანამედროვე სამეწარმეო დღის წესრიგის დანერგვა;

3. დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა;

4. ექსპორტის გაფართოების სტიმულირება, ბაზარზე შესვლის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოების გლობალიზაცია;

5. ციფრული კომუნიკაციების, IT, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების წახალისება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.

ინვესტიციების მოსაზიდად და სტიმულირებისთვის, მეტად მნიშვნელოვანია ეროვნული განვითარების სტრატეგიული სექტორების იდენტიფიცირება და ამ სფეროებში სამეცნიერო კვლევების ჩატარება. ეს კვლევები უნდა დასრულდეს მიზნობრივი საინვესტიციო წინადადებებისა და პროექტების ფორმულირებით. ინვესტორების მიმზიდველობის გაზრდა, ექსპორტის მოცულობის გაზრდა და ახალი ბაზრების შესწავლა საჭიროებს ბაზრის ყოვლისმომცველ ანალიზს, ქართული პროდუქციის აქტიურ პოპულარიზაციას და სტრატეგიული იმიჯის შექმნის კამპანიებს საერთაშორისო მედია არხებით. ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოფენებში, სავაჭრო გამოფენებსა და

პროდუქციის გამოფენებში ჩართვა. ქვეყნის ხილვადობის გაძლიერება გულისხმობს ბიზნეს ფორუმების მასპინძლობას, პროდუქციის გამოფენების ორგანიზებას და ბიზნეს ქსელის ღონისძიებების ხელშეწყობას, საერთაშორისო კონფერენციებსა და ბაზრობებში აქტიურ მონაწილეობასთან ერთად. საქონლის ექსპორტზე ორიენტირებული ქართული ფირმების ხელშეწყობა მოითხოვს საქსპორტო საინფორმაციო ცენტრის შექმნას და მცირე ბიზნესის განვითარების ცენტრების შექმნას საქართველოს მასშტაბით. ეს ცენტრები უზრუნველყოფენ აუცილებელ ინფორმაციას და საკონსულტაციო მომსახურებას, რათა დაეხმაროს ბიზნესს თავიანთი ოპერაციების გაფართოებაში და ეფექტურად მართვაში.

საქართველოს, როგორც განვითარებადი ქვეყნის ბიზნეს გარემოს სრულყოფისთვის, გამოვეყთ რამდენიმე საკვანძო სფერო, რომელსაც, ჩვენი აზრით, ზრდისა და ინოვაციის ყველაზე დიდი პოტენციალი აქვს, გააჩნია ევროპულ მიდგომებთან და გამოცდილებებთან სინთეზის შესაძლებლობები. მათ შორის:

ტექნოლოგია და ინოვაცია

ტექნოლოგიების სექტორი მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებას, საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) სერვისებს, ციფრულ გადაწყვეტილებებს და ინოვაციებზე ორიენტირებულ ინდუსტრიებს. ინდუსტრია 4.0 ტექნოლოგიებისკენ გლობალური ცვლასთან ერთად, საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი, გამოიყენოს თავისი მუშახელი, რომ გახდეს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების რეგიონალური ცენტრი.

განვითარების გეგმა:

- მარეგულირებელი გარემოს გამარტივება ტექნოლოგიური სტარტაპებისთვის, მათ შორის გამარტივებული რეგისტრაციის პროცესების, საგადასახადო შეღავათებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ჩათვლით.

- ინვესტიცია ციფრულ ინფრასტრუქტურასა და ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომის გასაუმჯობესებლად. ტექნოლოგიური პარკების, ინოვაციების ჰაბებისა და ინკუბატორების დაარსება.

- კვლევისა და განვითარების (R&D) ინიციატივების დაფინანსება და მხარდაჭერა, ტექნოლოგიების გადაცემა და ინოვაციური გადაწყვეტილებების კომერციალიზაცია.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვანი სექტორია საქართველოში, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა ნაყოფიერი მიწით, ხელსაყრელი კლიმატური პირობებით და მდიდარი სასოფლო-სამეურნეო მემკვიდრეობით გამოირჩევა. აგრობიზნესი მოიცავს ფერმერულ მეურნეობას, საკვების გადამამუშავებას, აგროტექნოლოგიურ და სასოფლო-სამეურნეო ექსპორტს, რაც დამატებითი ღირებულების წარმოების, მდგრადი პრაქტიკისა და ბაზრის დივერსიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა.

განვითარების გეგმა:

- ფერმერებისთვის სოფლის მეურნეობის სერვისების გაფართოება სასწავლო პროგრამების და მოდერნიზაციისა და პროდუქტიულობის გაზრდის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის მეშვეობით.

- აქცენტირება მსხვილ ფერმერებზე და დიდი ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა;

- მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების ხელისშეწყობა, მათ შორის ორგანული მეურნეობა, მოსავლის დივერსიფიკაცია და წყლის რესურსების მართვა, რათა გაიზარდოს მდგრადობა კლიმატის ცვლილების მიმართ.

- ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვა სოფლის მეურნეობაში, როგორცაა ზუსტი ფერმერული მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო დრონები, რათა გაიზარდოს პროდუქტიულობა და ეფექტურობა

ტურიზმი

ტურიზმი, ჩვენი აზრით, სასიცოცხლო მნიშვნელობის სექტორია საქართველოს ეკონომიკისთვის, რასაც განაპირობებს მისი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, მრავალფეროვანი ლანდშაფტები და ისტორიული ღირსშესანიშნაობები. ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის ინდუსტრია მოიცავს საცხოვრებელს, ტრანსპორტირებას, ატრაქციონებსა და ტურისტულ მომსახურებას, რაც საერთო ჯამში ემსახურება სამუშაო ადგილების შექმნას, შემოსავლების გენერირებას და ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობების წარმოშობას.

განვითარების გეგმა:

- ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მათ შორის სასტუმროები, აეროპორტები, გზები და ტურისტული ატრაქციონები, რათა შესაბამისად გაუმჯობესდეს ვიზიტორთა გამოცდილება და მოიზიდოს მეტი საერთაშორისო ტურისტი.

- ახალი, უპირატესად დაბალბიუჯეტისანი ავიაკომპანიების შემოყვანა საქართველოში.

- ინვესტიციის ჩადება მარკეტინგულ და სარეკლამო კამპანიებში საქართველოს, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის ცნობადობის ასამაღლებლად.

- ადამიანური კაპიტალის განვითარება ტურიზმის ინდუსტრიაში პროფესიული სწავლების, ენის ცოდნის განვითარებისა და სტუმართმასპინძლობის (hospitality) მენეჯმენტის პროგრამების მეშვეობით მომსახურების ხარისხისა და პროფესიონალიზმის გასაუმჯობესებლად.

წარმოება

წარმოება გადაწყვეტ როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკაში, ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრიების შესაძლებლობებით, როგორცაა ტექსტილი, საავტომობილო კომპონენტები, ელექტრონიკა და ფარმაცევტული მრეწველობა. სტრატეგიული მდებარეობის, კვალიფიციური მუშახელისა და

შელავათიანი სავაჭრო ხელშეკრულებების გამოყენებით, საქართველოს შეუძლია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და კონკურენტუნარიანი წარმოების სექტორების განვითარება.

განვითარების გეგმა:

- წარმოებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) წახალისების უზრუნველყოფა, მათ შორის, საგადასახადო და საბაჟო გადასახადის შეღავათები.

- ინდუსტრიული, სპეციალური ეკონომიკური ზონების (SEZ) და ექსპორტის გადამამუშავებელი ზონების (EPZs) განვითარების მხარდაჭერა ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად და საწარმოო საქმიანობის ლოჯისტიკური მხარდაჭერისთვის.

- მიწოდების ჯაჭვის კავშირების და სატრანსპორტო ქსელების გაძლიერება, რათა ხელი შეუწყოს საქონლისა და ნედლეულის გადაადგილებას საწარმოო ობიექტებში და უკან.

ინფრასტრუქტურა

ქვეყნის ინფრასტრუქტურა დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე. გზების ხარისხი, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი და კომუნიკაციები ავითარებენ და ახალ შესაძლებლობებს აძლევენ ბიზნესს. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა საფუძველია იმისა, რომ ის იყოს სატრანსპორტო კვანძი რეგიონში. ამავდროულად, ქართულ ბიზნესს ჰქონდეს საშუალება, იოლად მოახდინოს თავისი საქონლისა და მომსახურების ექსპორტი ხელსაყრელ ბაზრებზე. თუმცა, მიუხედავად ამისა, ბიზნესითვის არ არის ხელმისაწვდომი ის ლოჯისტიკური ჯაჭვი, რაც მას დაეხმარებოდა საქონლის ექსპორტში.

განვითარების გეგმა:

- სარკინიგზო გადაზიდვებისა და სამგზავრო გადაყვანების როლის გაზრდა და ამ მხრივ საქართველოს ტრანზიტულ ქვეყნად ქცევა. თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის ექსპლუატაციაში შეყვანა;

- საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ქვეყნის რეგიონების ერთმანეთთან სხვადასხვა ალტერნატიული სატრანსპორტო გზებით დაკავშირება;

- ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის განახლება, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალთან ერთად საშუალებას მისცემს აზერბაიჯანის გავლით შუა აზიიდან და ჩინეთიდან ტვირთების ტრანზიტის გაზრდას.

- ევროკავშირში საზღვაო მიმოსვლის სიხშირის გაზრდის მიზნით სამთავრობო მოლაპარაკებების დაწყება.

თითოეული ჩვენ მიერ შემოთავაზებული სექტორი იყენებს საქართველოს არსებულ ძლიერ მხარეებსა და რესურსებს. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული იქნება ქვეყნის ნაყოფიერი მიწა და ხელსაყრელი კლიმატური პირობები, ტურიზმის სფეროში საქართველოს მდიდარი კულტურულ მემკვიდრეობა და მრავალფეროვანი ლანდშაფტი, ხოლო ინფრასტრუქტურის სფეროში ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა.

მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის სტრატეგიული ამოცანის გადასაჭრელად (მისი განვითარების ოპტიმალური ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი პირობების შექმნა), ჩვენი მოსაზრებით, სახელმწიფომ უნდა გაატაროს შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც შედგება ფისკალური, სამეცნიერო და ტექნიკური, საინვესტიციო, საფასო, ფულად-საკრედიტო და სხვა სახის პროგრამებისგან, რომლის განხორციელებაშიც იგი კომპლექსში იყენებს როგორც პირდაპირ (ადმინისტრაციულ), ისე არაპირდაპირი (ეკონომიკური) მეთოდებს.

განხორციელებული კვლევის საფუძველზე ჩამოვყალიბეთ ზოგადი **დასკვნები და რეკომენდაციები** სახელმწიფოს მიერ ბიზნესს გარემოს განვითარების მიზნით:

1. საქართველოში, როგორც განვითარებად ქვეყანაში, კვლავ აქტუალურია განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებთან ორმხრივ სარგებლიანი თანამშრომლობის შესაძლებლობების ოპტიმალური გამოყენება.

2. საქართველოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევას კვლავ წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის სტაბილური ზრდა, სოციალური განვითარების დაჩქარების აუცილებლობის ფონზე.

3. საქართველოს ხელსაყრელი სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა მას სტრატეგიულ სატრანზიტო ფუნქციას ანიჭებს. აუცილებელია ამ ფუნქციის სათანადო გამოყენება, საგზაო ინფრასტრუქტურისა და ღრმაწყლოვანი საზღვაო პორტის აშენება. „შუა დერეფნის“ პროექტის მეშვეობით მნიშვნელოვნად გაიზარდება ტვირთბრუნვაზე მოთხოვნა.

4. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებამ ქართულ ბიზნესს მისცა პროდუქციის ექსპორტზე გატანის მეტი შესაძლებლობა. თუმცა, ამ ეტაპზე ბიზნესისთვის მთლიანად ხელმისაწვდომი არაა ლოჯისტიკური ჯაჭვის პოვნა, რომელიც დაეხმარებოდა მას თავისი პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გასატანად. ამის ერთერთი მიზეზი ჩვენი აზრით არის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პროდუქციის ცნობადობის ნაკლებობა. მათ შორის, პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის სიმცირე საქართველოსა და ევროპას შორის, საჭირო დოკუმენტაციაზე წვდომის სირთულეები და სხვა. აღნიშნული საკითხის დარეგულირება სახელმწიფოს მმართველობითი უფლებამოსილებაა და შესაბამისად, უნდა მოხდეს მაქსიმალურად მეტ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გამარტივება, შესაბამისი მატერიალური ბაზის შექმნა.

5. საქართველოს ესაჭიროება ტურიზმის დარგის განვითარებისთვის რიგი ღონისძიებების გატარება. ამისათვის საჭიროა როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ასევე ქვეყნის, როგორც ერთერთი საინტერესო და

მრავალფეროვანი ტურისტული მიმართულების რეკლამირება მსოფლიო მასშტაბით. მნიშვნელოვანია საერთაშორისო დაბალბიუჯეტური ავიაკომპანიების მოზიდვა საქართველოში.

6. ბიზნეს გარემოს ეფექტიანობისთვის არსებითია ინოვაციური და ტექნოლოგიური ცოდნა და განვითარება. ევროკავშირის ქვეყნების მაგალითები აჩვენებს, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერით საწარმოებმა დაწერეს ახალი ტექნოლოგიები, რისი შედეგიცაა მათი წარმატება თავიანთ დარგში მსოფლიო მასშტაბით. სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ახალი ტექნოლოგიების წახალისება და შექმნეს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გარანტიები.

7. ევროკავშირის სახელმწიფოებმა მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება მოახდინეს ბიზნესისთვის ახალი ცოდნის მიწოდებით. სახელმწიფომ, გარდა შეღავათიანი კრედიტებისა, უნდა მოახდინოს სასწავლო პროგრამების და საჭირო სპეციფიკური მახასიათებლების მიწოდება მეწარმეებისთვის.

8. საქართველოში ბიზნესის ხელშეწყობის ერთერთი მთავარი ინსტრუმენტია შეღავათიანი კრედიტი, რაც ნიშნავს სესხის პროცენტის თანადაფინანსებას სახელმწიფოს მხრიდან, ასევე სესხის ძირი თანხის გადახდის დაწყებას 2 წლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ. ევროკავშირის გამოცდილება გვაჩვენებს, რომ დარგების მიხედვით საშეღავათო პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს 10 წლამდე. უპრიანია, კრედიტის პროცენტის თანადაფინანსება და საშეღავათო პერიოდი განისაზღვროს დარგების მიხედვით და მისი სირთულის და რენტაბელობის გათვალისწინებით მოხდეს საშეღავათო პერიოდის განსაზღვრა.

9. საქართველოში კვლავ ძნელად მისაწვდომია კაპიტალის ბაზარი. ბოლო პერიოდში შეინიშნება აქტიურობა ობლიგაციების პირველად ბაზარზე, თუმცა ეს მხოლოდ მსხვილი კომპანიების პრეროგატივაა და შესაბამისად, მცირე და საშუალო ზომის

ბიზნესისთვის დაფინანსების მოპოვების ერთერთი (შეიძლება ერთადერთიც) გზა არის ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც თავის მხრივ ახალდაფუძნებულ ბიზნესზე სესხს არ გასცემენ. რეკომენდირებულია, სახელმწიფომ შექმნას შესაძლებლობა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ამჟამინდელი კანონმდებლობა, თითქმის შეუძლებელს ხდის მცირე საწარმოებისთვის ფასიანი ქაღალდების გამოშვებას მათი საკანონმდებლო სირთულისა და დანახარჯების გამო.

10. საქართველო ახდენს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების საფუძველზე კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან. აღნიშნული პროცესი დინამიურია და წლების განმავლობაში გაგრძელდება. იგი დადებით გავლენას მოახდენს მცირე და საშუალო მეწარმეობაზე, მათ შორის სამეწარმეო და საბაჟო კანონმდებლობაზე. აღნიშნულის დანერგვისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ევროპული მცირე ბიზნესის აქტის პრინციპი - „უპირველესად იფიქრე მცირეზე“, რათა ახალი კანონმდებლობით შემოღებული რეგულაციები მძიმე ტვირთად არ დააწვეს მცირე და საშუალო საწარმოებს და არ გახდეს მათი განვითარება-გაძლიერების შეფერხების გამომწვევი მიზეზი.

11. მნიშვნელოვანია სასამართლო დავების სწრაფი გადაწყვეტა ან ალტერნატიული მოგვარების მექანიზმების (მედიაცია, არბიტრაჟი) გამოყენება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიმართულებები ხელმისაწვდომია საქართველოში, თუმცა, მათი გამოყენება პრაქტიკაში ნაკლებად ხდება და შესაბამისად მეწარმეთა ცნობიერებაც ამ მიმართულებით დაბალია. რაც შეეხება სასამართლო დავებს - ისინი წლების მანძილზე იწელება, რაც უმეტეს შემთხვევაში რთულ სიტუაციაში აყევბს მეწარმეს, რადგანაც მას დავის დასრულებამდე დაყადაღებული აქვს ქონება და ვერ ახდენს მის განკარგვას.

12. ქვეყანაში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საჯარო და კერძო სექტორის შორის დიალოგის ეფექტური მექანიზმის დანერგვა, რაც გულისხმობს ადრეულ ეტაპზე ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში ბიზნესის ჩართულობას. ამჟამად საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგი ტარდება ბიზნეს-ომბუდსმენის და სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ. კერძოდ, არსებობს სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭო და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფი. თუმცა, უნდა მოხდეს აღნიშნული პლატფორმების განვითარება, უფრო მეტი მეწარმის ჩართულობა, რადგან მათ გამართულ ფუნქციონირებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნეს-გარემოს შექმნაში.

13. აუცილებელია ვენჩურული კაპიტალის აქტორების გაზრდილი მონაწილეობა საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის პროცესში, აღნიშნულ სფეროებში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის ხელშესაწყობად. ამ შემთხვევაში ქვეყნის შიგნით სარისკო ინვესტიციების განხორციელებისთვის და სათანადო განათლებისა და საერთაშორისო გამოცდილების სარისკო ფონდების მენეჯერთა მომზადებით Venture Capital და Business angels ეკოსისტემის შემდგომ განვითარებას ჩაეყრება საფუძველი. საშუალოვადიან ამოცანად კი უცხოეთიდან საქართველოში ვენჩურული ინვესტიციების მოზიდვა უნდა იყოს განხილული. აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს ქართველ სტარტაპებს მიიღონ უფრო მეტი დაფინანსება ადრეულ ეტაპზე მათი განვითარებისთვის.

14. ეფექტური ბიზნესგარემოს ფორმირებაში სახელმწიფოს მარეგულირებელ და მმართველობით ფუნქციებში მნიშვნელოვანია მდგრადი ეკონომიკის ფორმირების პრინციპების განხორციელება, მათ შორის გეოპოლიტიკური ფაქტორები, ეკონომიკური ფაქტორები, გარემოს უსაფრთხოების ფაქტორები, ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტისა და სხვა ფაქტორები.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველო გადის იმავე გზას, რაც ევროკავშირის თითოეულმა ქვეყანამ გაიარა ეფექტური ბიზნესგარემოს შესაქმნელად. ევროკავშირის გამოცდილება საქართველოს აძლევს საშუალებას, უფრო სწრაფად მიაღწიოს დასახულ მიზნებს. სამეწარმეო უნარის განვითარება და სათანადო, სრულყოფილი ცოდნის არქონა, ისევე როგორც მცირე და საშუალო მეწარმეების მხრიდან ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა, ერთერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რომელიც აფერხებს ეფექტური ბიზნეს გარემოს ფორმირებას. სახელმწიფოს აქვს მარეგულირებელი და მმართველობითი მექანიზმები, მოახდინოს სათანადო ცვლილებები და ევროკავშირის გამოცდილების მიხედვით გააუმჯობესოს საქართველოში არსებული ბიზნესგარემო, მიაღწიოს საკუთარი და მოზიდული რესურსების ეფექტურ გამოყენებას, საერთაშორისო ბიზნესურთიერთობების გაფართოებას, მეტ დასაქმებას, მეტ წარმოებას, ჯანსაღ ეკოლოგიას.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები ასახულია ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში, მათ შორის:

1. **კვაჭანტირაძე ბ.**, “საქართველოს ეფექტური ბიზნესგარემოს ფორმირების ეტაპები და სირთულეები”. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა, ISSN 2449-2418, ტომი 11, გამოცემა 2, 2024;
2. **კვაჭანტირაძე ბ.**, “ევროკავშირთან თანამშრომლობა, როგორც ეკონომიკური ზრდის საფუძველი”. ბიზნესი და კანონმდებლობა, ISSN 2960-9801, გამოცემა 1, 2024;
3. **კვაჭანტირაძე ბ.**, “კოვიდ პანდემიის გავლენა საქართველოს ბიზნეს გარემოზე და პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიები”. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა, ISSN 2449-2418, ტომი 11, გამოცემა 2, 2024;

LEPL- Batumi Shota Rustaveli State University



Faculty of Economics and Business

Department of Business Administration, Management and marketing

Besik Kvatchantiradze

**State Managerial and Regulatory Functions for the Creation of Effective Business
Environment - European Experience**

To earn the academic degree of Doctor of Business Administration presented

Dissertation Annotation

Batumi - 2024

The dissertation was completed at Batumi Shota Rustaveli State University, the faculty of Economics and Business, the Department of business administration, Management and Marketing.

Scientific Supervisor:

Rezo Manvelidze Doctor of economics, Professor of Batumi Shota Rustaveli State University

Foreign appraiser:

Mariana Petrova

Professor of Tsenov Academy of Economics
Svishtov, Bulgaria

Appraisers:

Yuri Papaskua

Doctor of Economic science, Associate Professor of Sokhumi State University

Ramin Tsinaridze

Doctor of Business Administration, Associate professor Batumi Shota Rustaveli State University

Tamar Beridze

Doctor of Business Administration, Assistant professor Batumi Shota Rustaveli State University

The defense of the thesis will be held at July 9th 2024 at the session of the dissertation committee created by the dissertation council of the Faculty of Business and Economics of Batumi Shota Rustaveli State University.

Address: st. Batumi, Ninoshvili st. N35 audience N423

The dissertation can be viewed in the Ilia Chavchavadze Library of Batumi Shota Rustaveli State University, and the annotation of the dissertation can be found on the website of the same university. (www.bsu.edu.ge)

Secretary of the Dissertation Council:

Leila Tsetskhladze

Doctor of Business Administration,
Assistant-professor at Batumi Shota Rustaveli State University

General description of the dissertaion

Relevance of the topic

In the contemporary world, the economy has a profound influence on the daily activities of individuals, that is why it is necessary to improve the current pace of business development and constantly pursue innovative solutions.

The evolution of Georgia's business sector has traversed a lengthy and intricate trajectory, underscoring its growing significance for the nation's welfare. It not only affects the state economy, but plays a major role in improving the social conditions of the population. It's worth noting that Georgia, as a post-Soviet country, lacks a long history of business advancements, yet it was actively involved in global economic trends and international business development in parallel with the transition to a market-based economy. Our research delves deeper into the formation of the business environment in Georgia, recognizing the country's status as a prime investment destination. With sectors such as tourism, hospitality, and agriculture, Georgia can attract substantial investment. Our research is compelling given Georgia's status as a developing nation, with its business environment in a constant state of adapting to emerging trends. Hence, the relevance of our inquiry remains paramount.

The relevance of the chosen topic is underscored by both the "Covid" pandemic and the potential of the Middle Corridor, alongside cooperation with the European Union. The European Union (EU) plays a major role in Georgia's economic development, acting as the main partner in fostering growth, stability, and modernization. Through a wide range of initiatives, agreements, the EU bolsters Georgia across trade, investments, infrastructure development, and institutional reforms.

The COVID-19 pandemic has significantly affected Georgia's economy, presenting unprecedented challenges across multiple sectors. Strict measures like curfews and travel restrictions aimed at holding the effects

of the virus. The circumstances have particularly affected businesses in the tourism, restaurant, and retail sectors. The sharp decline in tourism revenues, a key economic driver for Georgia, has resulted in job losses and diminished incomes, exacerbating socio-economic strains. In response to these challenges, Georgia has taken decisive actions to mitigate the pandemic's adverse effects and direct the economy towards stability and growth. These efforts have heightened the significance of our chosen topic, as these transformative forces become increasingly crucial.

Georgia is actively engaged in transporting dry cargo along the "Middle Corridor", a strategic transport route that links Central Asia to Europe via the Caucasus. Despite the challenges posed by the pandemic, statistics reveal a notable uptick in the volume of goods transported via international rail transport, highlighting the competitiveness of the Georgian corridor. This route holds a strategic significance for Georgia, offering a shorter path for trade and transit between Europe and Asia. The Trans-Caspian route enables our country to boost its role as a pivotal transit hub facilitating the seamless movement of goods and energy resources. Leveraging this route, the country can enhance economic ties with neighboring nations and capitalize on its geostrategic location to drive trade and foster infrastructure development initiatives.

Focus and Scope of Inquiry:

The focal point of our research revolves around the stages of the business sector development in Georgia and juxtaposing them with the European experience. Meanwhile, the subject of the research is the overall business environment, along with the factors affecting business, determining the country's competitiveness and optimizing country's potential utilization.

The aim and objectives of the research:

The main goal of the research outlined in the presented dissertation is to explore the possibilities of improving the business environment for the

growth of small and medium-sized businesses in Georgia through with the cooperation of the European Union. The research objectives include examining the evolution of the business environment of Georgia, assessing the role of small and medium-sized businesses in economic advancement and identifying challenges of business environment during the pandemic and in its aftermath, thus, formulating recommendations for future development.

Theoretical and methodological basis of the research:

In the research process the methods of dialectical, induction, deduction, analysis and comparative analysis are used. Within the thesis, tables, diagrams, and illustrations are used to delve into the analysis of issues addressed by the research tasks.

Scientific novelty of the research:

The dissertation is an analytical research-based work on the trajectory and trends of Georgia's business landscape and economic progress. The scientific novelty of the paper is as follows:

- The importance of collective influence of social, technological, economic and political factors affecting the business environment along with the government's role is evaluated. It is proved that current implementation of business support measures in the country, including small and medium-sized businesses, is aligning with European standards;
- The main priorities of improving the business environment are identified, with a focus on evaluating investment activities across different sectors. The author's viewpoint shows the shortcomings of the investment policies and strategies;
- The country's transit potential is highlighted, emphasizing the advantages of the "middle corridor" factors. The study delineates the characteristics of the multifaceted connections between the transport sector and the economic spheres;
- The significance of innovation and human capital as the main driving force of the country's economic progress is justified;

- Recommendations for facilitating the access to resources and opportunities for engaging in business in the EU have been developed;
- The benefits of the introduction and development of digital technologies in business in the European Union are outlined, along with suggestions for their implementation in Georgia;
- Asserted propositions are put forth about the importance of loosening monetary policies in business, which creates the possibility of cost reduction, increased optimization, a positive environment attracting additional investment resources;
- Specific recommendations have been developed to promote the enhancement of corporate sustainability components within business, aiming to increase the scope and target state support measures.

Approbation of the thesis:

The thesis received approval from the extended session of the Department of Business Administration, Management, and Marketing within the Faculty of Economics and Business at Shota Rustaveli State University of Batumi. Its principal findings, recommendations, and individual results are documented in scientific articles authored by the researcher, as well as in materials presented at international scientific conferences and published in internationally recognized, peer-reviewed journals.

The structure of the thesis was formed as follows:

Chapter 1. Development stages of economic management and regulation mechanisms

- 1.1 Entrepreneurial and labor relations
- 1.2 Tax and customs systems
- 1.3 Financial and credit relations

Chapter 2. Business environment and factors affecting its formation - Foreign experience

- 2.1 External factors affecting the business environment
- 2.2 Internal factors affecting the business environment

2.3 European experience in establishing an effective business environment

Chapter 3. The main principles of effective business environment formation in Georgia

3.1 Collaboration with the European Union in the formation of business infrastructure

3.2 Challenges in creating an optimal business environment and the effect of the Covid pandemic


3.3 Government economic policies and development strategies

Conclusions and recommendations

The main provisions of the paper

In the first chapter of the dissertation, the stages of development of entrepreneurial, tax and financial-credit systems of Georgia are discussed, which are directly related to the improvement of the country's economic environment. Entrepreneurship and labor relations are crucial components in driving a nation's economic growth. Entrepreneurs serve as the driving force for innovation, job creation, and the generation of wealth within the economy. According to the data of the Revenue Service of Georgia, in total 362,740 enterprises are registered in Georgia, of which 77,243 enterprises had active status as of 2023. The distribution of operating enterprises is as follows:


Graph 1



Source: saras.gov.ge

Nevertheless, the turnover and number of employees of large enterprises significantly exceed the total turnover and number of employees of small and medium-sized enterprises.


Graph 2



Source: National Statistics Agency


While the European Union and Georgia may have a similar percentage share of the number of enterprises, the significance of small and medium enterprises (SMEs) in the economy differs substantially between these two regions.

Graph 3



Source: [Annual report on European SMEs 2022/2023](#)

Graph 4



Source: [Annual report on European SMEs 2022/2023](#)


As it can be seen from the graphs, SMEs together make up more than half of the EU's total turnover and employ almost 2/3rd of the total number of employees. That is why the main direction of our research is to bring the European model of effective business environment for small and medium enterprises to Georgia, allowing the companies to become the main driving force of the Georgian economy.

In recent years, a unified government policy has been formed, the priorities and directions of which are focused on long-term, inclusive economic growth. However, the pandemic of 2020, turned out to be a significant threat and a challenge for the global economy. As for the situation before the pandemic, in 2019, in the last seven years, the economic growth of Georgia reached the highest level and amounted to 5.0%.

Nowadays, the private sector serves as the main source of employment expansion in Georgia. Therefore, we deem, it is important for the further growth of employment to sustain the activity of the private sector and ensure high economic growth. From this point of view we pinpoint 2010 as a pivotal year for the economic growth of Georgia. It was from here that investments began to flow into the country, the majority - more than 70% - coming from private investments.


Furthermore, starting from 2017, as a result of the improvement of external demand and mitigation of negative factors, the rate of economic growth improved and the activity of the private sector increased, which positively affected the employment rate during 2017. In 2022-2023, the inflow of cash flows in the country strengthened the GEL (local currency) and restrained inflation, which had a positive effect on the debt level leading to its reduction.

Graph 5



Source: [Forbes Georgia](#)

Graph 6



Source: National Statistics Service/National Bank of Georgia

It is noteworthy that the enforcement of the revised Labor Code, started the process of complying with the legislation regulating labor relations. This change has become a big challenge for companies, due to their lack of experience in this regard in Georgian business practices. In order to bring the labor relations in the business entity into compliance with the legislation, in our opinion, it is important, first of all, to develop a legally sound labor relations policy and procedures. Subsequently, establishing permanent administration assuming responsibility for effective management oversight.

The new Labor Code envisaged a fundamental revision of the tax policy and had the following goals:


1. Promotion of economic growth - through reduced taxes and lower rates.
2. Raising the tax culture with simplified administrative mechanisms;

3. Stable investment environment - by establishing a solid legal base and establishing liberal economic principles;

4. Legal business support - with stricter administrative mechanisms against unscrupulous payers.

Upon analyzing the outcomes of the implemented code and evaluating the trend of the change in the tax burden in the period 2005-2017, which is shown in the 7th graph, we see that in 2006, compared to the previous years, the tax burden decreased by 18.4%. It is due to the adopted new tax code. Also, in 2009, the tax burden decreased from 38.6% to 15.3%, which was again caused by the changes made in the tax code. It should be noted that the ratio of tax revenues to GDP increased alongside with the decrease in the tax burden ratio, which can be explained by the elimination of corruption in the tax system, the regulation of the settlement process with the budget, and the improvement of administration. Since 2005, tax revenues in the state budget have increased as a result of the reduction in the number and rates of taxes. 2004-2010 Tax collection increased three times, from 2.2 billion to 5.8 billion in GEL. Before 2005, tax payments made up 16% of GDP, after the reform this indicator reached 23-24%.

Graph 7



Source: mof.ge

In 2022, the Revenue Service took important steps towards strengthening compliance and tax risk management. The "2022-2023 Law Compliance Improvement Plan", was based on the Service's strategy and 4 fundamental obligations of the taxpayer: registration, timely declaration of tax obligations, correctness of declared data and timely payment of due taxes.

In light of these changes, a total of 371,637 goods customs declarations were signed, this number has shown 12% increase, which is directly related to the simplification and digitization of the system.

In the meantime, the country introduced new financial instruments and services to diversify the financial market and meet the needs of businesses and individuals. This included the development of capital markets, insurance services and non-bank financial institution:


- A securities market has emerged, allowing companies to issue shares and bonds to raise capital. This provided alternative sources of financing other than traditional bank loans. To look at the recent past, in 2023, 18 issuances worth more than 1 billion GEL were carried out, which are distributed over seven different sectors. The size of the corporate bond market in 2023 was 1.8 billion GEL.

- Microfinance institutions have been established to provide small loans and financial services to low-income individuals and micro-entrepreneurs who did not have access to traditional banking services. Microcredit programs are aimed at overcoming poverty and promoting small-scale entrepreneurship.

- The insurance industry has expanded offering a wider range of insurance products to the public. In 2023, the insurance premium collected from direct insurance activities amounted to 818 million GEL. According to the results of the same period, the insurance profit of insurers was 190.9 million GEL, and the net profit was 63.5 million GEL. In the same period of 2022, this figure was 35 million GEL.

- Introduction of online banking and electronic payment systems has revolutionized convenient and safe financial transactions. These included internet banking platforms, mobile banking applications and electronic payment networks, which enhance the population's access to financial services.

Graph



Source: National Bank of Georgia

The direct link between monetary policy and living standards is as follows: Expansionary monetary policy is implemented by lowering interest rates and requiring reserve ratios, expanding bank refinancing, and buying securities in the open market. These measures lead to an uptick in the money supply, which increases the credit resources of commercial banks, stimulating the real sector of the economy, decreasing interest rates, and increasing investment.

The second chapter of the dissertation focuses on the factors affecting the business environment; European practices regarding the encouragement of small and medium-sized businesses and the future strategy for the development of important sectors of Georgia.

In general, the external business environment is a set of objective conditions and factors existing outside the business organization and affecting it both directly or indirectly.


